

# ნ ა შ რ ო შ ი

3



ჩემი შენიშვნები: რუსთაველის გარშემო.—ქართული ბიბ-  
ლია მე-VI საუკ.: აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი.



თ შ ი ლ ი ს ი

ელექტ.-მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქა. საკ. ხაზლი № 5.

1910

# ჩემი შენიშვნები

## XXIV\*)

რუსთაველის გარშემო.

### I

ა. ვეფხისტყაოსნის შესწავლის გამო.

წლეულს შესრულდა ორასი წელიწადი მას აქეთ, რაც ვახტანგ VI შჯულმდებელმა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლა, მისი „დედნის“ ძებნა, და გამოსცა კიდევ თავის საკუთარ განმარტებით.

აქ რა მოსახსენებელია ისინი, რომელნიც სამღვდლო დასთან ერთად უარყოფდნენ უკვდავ ქმნილებას და თეიმურაზ I-ის პირით უსაყვედურებდნენ შოთას: „ყოველი არსი შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა, რაც ენაა, ყველა გიხმარია, სომხური და თათრულიცა, შემოგიღია ენა ჯავახური, საღმრთო სწავლით არ ხარ გაბრძნობილი, საერო მოგინახავს, არა გჯერა ქალწულს ქალწულობით ძე უშობოს (იხ. „არჩილიანი“). ანტონი კათალიკოზმა ხომ სიტყვა მოკლედ მოშქრა: შოთა „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე!“

მეფე-გამომცემლის აზრით ვეფხისტყაოსანი არის „უგბოლთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა დასათმენო, საღვთო და საერო, ვისაცა აქვს სმენა გულსა, — უსწავლელსა სიბრძნეს

\*) წინა შენიშვნები იხ. ჩვენს წიგნში „ქართული მწერლობა“.

მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა\* (მისი გამოც. ბოლო-სიტყვაობა). შეფე ვახტანგი დარწმუნებულია, რომ ვეფხ-ტყ.-ში შექმნილია თამარ მეფე, რომ ამ პოემის „ამბავი თვი-თონ მგოსანს გაუკეთებია“.

ასეთისავე აზრისანი არიან ჩუბინაშვილი, ბროსსე, პლ. იოსელიანი, აკაგი, ი. ჭავჭავაძე და მრ. სხ. ბროსსე ამბობს: „ნათლად ჩანს, შოთას თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე, უფრო თამარ მეფის ქებისთვის და თვისი ქმნილება დაუწერია შეთან-ხმებით საქართველოს მოთხრობისა“.

პატივცემული ა. ს. ხახანაშვილიც ამავე აზრისაა, მხოლოდ იგი დარწმუნებულია, რომ „ხალხში ნაწყვეტ-ნაწყვეტად დარჩენილი ლექსები მგოსანმა ღიტიერატურულ პოემად გარ-დაქმნა“.

არის ჯგუფი მწერლებისა, რომელნიც ამტკიცებენ, „ვეფხისტყაოსნის“ აღნაქვსი ამოღებულიაო სპარსულ ზღაპრი-დამა (ანუ „ზღაპრებიდამ“, როგორც 20 ენკ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. კრებაზე გვაუწყა ი. აბულაძემ და ა. ს.—ლიც დაეთანხმა), რომ მასში ქართული არა არის-რაო, თვით წინა და უკანა სიტყვაობანიც (დ. კარიჭაშვილის სიტყვით) რუსთაველს არ ეკუთვნისო.

ნ. ი. მარრი 20-ის წლის წინად ჰკითხულობდა („თეატ-რი“, 1890, № 12): „ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულითგან არ არის გადმო-თარგმნილი?.. მე სრულ ქეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველი-სავე სიტყვები, რომ მას სპარსულითგან ამბავი უნდა გაელექ-სოს. რავდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ არ ვკარგავ“. დღეს კი იგივე მკვლევარი ამ დედნის შესახებ განმარტავს (Тексты и раз., кн. XII, გვ. X-სა), რომ სპარსულ დე-დანს ჩვენამდე არ მოუხწევიაო სრულიად და თვითონ შოთაც ამ სპარსულ დედნის შესახებ კი არ გვამცნევსო, არამედ მის ქართულ პროზით თარგმანზე, რომელსაც ხელითხელ საგოგ-

მანებელ მარგალიტად სთვლისო თვითონვე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე მოთხრობა სპარსულ დედანში, ალბად, გალექსილში, უმეტეს ღირსებისა იქნებოდა და არა ნაკლებ მნიშვნელობისაო. მკვლევარი, რალა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება იმ ყალბ აზრს, რომ, ვითომ, წინასიტყვაობა ვეფხისტყაოსნისა არ ეკუთვნოდეს თვით რუსთაველს (იქვე, გვ. IV-V).

ამდენი არევ-დარევა აზრებისა და წინაუკმობა შესახებ ერთისა და იმავე თხზულებისა, ჩემის ფიქრით, აიხსნება მით, რომ მსუბუქად ვეკიდებით იმ წმინდა ეროვნულ საუნჯეს, რომელსაც, როგორც ამგვარს, თანამდებ ვართ ხელგყოთ არა თუ მარტო მოწიწებითა და მოკრძალებით, არამედ დაზურგულნი პაშტა სამზადისითა და ცოდნით. ვხმარობ ჰაშტას, რადგან სრულად ცოდნის ქონა ქართულ-მეტყველებისა დღეს თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვაბადია საკუთარი სამეცნიერო აკადემია, არ გვაქვს კაი ლექსიკონები, არ გამოგვიცია ქართ. ბიბლია და სხ. წიგნები, არ შეგვისწავლია ქართული ენა და კილოკავები, არ გამოგვიცია საგმირო და სახალხო ნაწარმოებნი, არ გვაქვს ხელში მეცნიერულად შემუშავებული ისტორია ქართველ ერისა, მისი კანონმდებლობა და ეგვიტაროი საბუთები მის ცხოვრებისა და ყოფაქცევისა ცნობაში მოყვანილი, განმარტებულ-განმარცვლული არ მოგვეპოვება.

ყველა აქედგან პაშტა ნაწილი მაინც შევისწავლოთ და ისე ვიკადროთ ვეფხისტყაოსნის განქიქება. იგი ნორჩი არ არის. შეიდასის წლის ძეგლია. შეიღის საუკუნის კანდელი მოჭირნახულე ერისა. მოვეპყრათ სიწმინდეს პატივით, საკმაო მასალითა და დაკვირვებით შევუდგეთ მის დაფასებას და თუ მიუდგომელმა კრიტიკამ შეუძლებელი შესაძლო ჰყო და დაამტკიცა მისი გარმიანულობა, ჩვენც დავმორჩილდეთ ჩვენს უბედო ბედს და გულისტკენით ვთქვათ: ჩვენი შარავანდოსანი ბრწყინვალე კანდელი ამიერიტგან გამკრთალდა! მაგრამ, ვიმეორებ, ამის დამტკიცება ხომ შეუძლებელია.

ბ. რუსთაველის განმეცხვებელი.

ჩვენს შეკითხვაზე (ივერია 1899, № 3) „ვეფხისტყაოსნის ყალბ ადგილების“ ავტორმა გულახდილად გვიპასუხა (იქვე, № 34): „რუსთაველის წინა დროის სალიტერატურო ენა არ შემისწავლია, — რაიცა, ღვთის წინაშე, მართალია“.

ეს აღსარება სწყვეტავს ჩვენსა და ა. ს.—ლის შორის ამტყდარ კამათს შესახებ ვეფხისტყაოსნის ყალბ ადგილებისა — თქო, ვწერდი მე პასუხად (იქვე, № 47): რუსთაველის წინა დროის სალიტერატურო ენის შეუსწავლელობა მოასწავებს მაშინდელ საგმირო, საფილოსოფოსო, სასულიერო და საისტორიო ნაშთების შეუსწავლელობას და უამისოდ ვეფხისტყაოსანში ყალბ ადგილების გამოცნობა ყოვლად შეუძლებელია, ვფიქრობდი მე, და ვასახელებდი მაგალითებს, თუ ამგვარ ცნობების უქონლობის გამო სხვა ავტორები როგორ შესცდნენ, ნანას ბიძა „ხუარა“ როგორ აქციეს ხუარასნელად („ხუარა სნეულ იყო“ — ხუარასნელ იყო!), ერთურთზე შორი-შორს მყოფ სასიძო-სასძლოს წმინდა ამერიკული ჯვარწერა როგორ მიითვალეს მამაკაცის მამაკაცზე დაქორწინებად და სხ. შემდეგ განვაგრძობდი:

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ცალი გადაწერილია 1616 წელს. ეს არის ყველაზე ძველი თარიღიანი ეკზემპლიარი. როგორი იყო იგი დაწერის წელს, რაოდენის სინამდვილით გადმოიწერებოდა მისი პირი, სად ინახებოდა დედანი, რომელი ვარიანტით ვრცელდებოდა იგი? ყოველივე ეს დაფარულია. მაგიერად „ოქროს საუკუნეს“ სხვა ნაშთები ბევრია გადარჩენილი. მე X—XII საუკუნეში ფრიად გაძლიერდა ქართული მწერლობა. ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია, პოეზია, ხელოვნება, რომანებისა და პოემების წერა, თარგმნა, ხუროთმოძღვრება უმაღლესს ხარისხამდე ავიდა. ქართველ მგოსნებმა სხივ-შარავანდელით შემოსეს კავკასიონი. ვეფხისტყაოსანიც ცის ნატეხივით არ მოეჩვენა საქართველოს. ამისთანა დიდი თხზულება განყენებულად არ იბადება. გენი-

ოსობა ერთის კაცისა საკმაო არ არის შესაქმნელად „წყობილ მარგალიტისა“. შოთაზედ უმდარესის ენით არ სწერდნენ მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი. საუნჯე ქართულის ენისა მე X—XI საუკ—ში უკვე იყო შემოკრებილი. ამ მხრივ დიდი ამაგი დასდეს სამშობლოს პარხალის, ზარზმის, ხანძთის, არსენ-წმინდის (ლენხუმშია და იქ მარხია წმ. მაქსიმე აღმსარებელი), ტბეთის, ბანას, ათონის, გრემ-იყალთოს, მცხეთის მოღვაწეთ. ყველა ამას შესწავლა უნდა. ამას გარდა, ვეფხის-ტყაოსანი რახან არის ისტორიული თუ ისტორიულს აღნაქვსზე აგებული პოემა, ამიტომ პოემის განქიქების წინად განმქიქებელმა ჯერ უნდა შეისწავლოს მაშინდელი დროის ისტორიაც. და ყველა ამის შემდეგ, ჩემის აზრით, შეიძლება საკირნახულო საქმეს შევუდგეთ და „პსიხოლოგიურის სინამდვილით“ შევისწავლოთ თვით „მარგალიტი ობოლიც“.

თუ რავედენად მართალი ვიყავით, ამას რომ ვწერდით, ახლავე; ალბათ, გამოჩნდება.

ა. წ. კითხვის საზოგადოების მიერ გამოც. ვეფხის-ტყაოსანში (კარიკ. რედაქ—ით) სიტყვა **პაშტა** (ტაეზი 406) განმარტებულია **პატარა**-დ. ბ-ნ ი. აბულაძის განმარტებით (მე XII ს. ქ. მწ. ხას. და რუსთ. ვეფხის-ტყაოსანი, გვ. 145) პაშტა არის (patsa=პაწა—ცოტა, პატარა. თვით ნ. ი. მარრიც პაშტა-ს პატარად თარგმნიდა და ახლა კი (T. и paz., XII, 26) ბევრად მიიჩნია. ნამდვილად კი პაშტა არც ერთია და არც მეორე. ცოცხალი ქართული ენა საინგილოში ცხადად გაარჩევს ცნებებს:

სულ მცირე: პიწა (ბეწო)—პიწწა—პიწიწა (პაწაწა, პაწია)

მცირეზედ მეტი: პატა, პატატა, პატრა, ცოტა

ცოტაზე მეტი: პაშტა

პაშტაზედ მეტი: ბევრი.

ამის მიხედვისამებრ გაირჩევა დროც

1. პიწწა ხანი, 2. პატა ხანი, 3. პაშტა ხანი, 4. ბევრ ხანი.

პაშტა ნიშნავს საკმაოს და უღრის რუსულს достаточный, значительный, достаточно. ინგ. „იმი მოსულამდინ პაშტა ხან გაჟღა—до его прихода прошло достаточно времени. პაშტა თეთრ ჰქონდაყ—имѣли достаточно денегъ. პაშტა ხანს ჩონსა დარჩენენ.—პაშტა გზაჲ გოჯართ.

მარტი გვაუწყებს (Т. и раз., XII, გვ. 26), იმერხევის კილოზედ პაშტა ბევრს ნიშნავსო. ფრიად საყურადღებოა ეს, თუ ვისმე გაუგებარს შეცდომაში არ შეუყვანია პატივცემული მკვლევარი სიტყვის პაშტას მნიშვნელობის ჩაწერის დროს.

ბ. სირა: კარიკაშვილით „სირა ნაცვლად სიტყვისა სირი—ჩიტტი“. აბულაძით: „სირა=(სირი)—პატარა ფრინველი, ჩიტტი“. ეს სირა კი სულ სხვა სიტყვაა და არა პატარა ფრინველი, ჩიტტი! სირა ინგ. ნიშნავს ჯერს, რიგს. მისი ბარია, როგორც მარბმაც ახსნა, ბერძნ. *σείρα* (იონური *σείρη*) საბელი, ჯაჭვი, კატილორია, უღელი. საკმაოა კაცმა წაიკითხოს ფილოსოფოს პეტრიწის „კავშირი“ პლატონურისა ფილოსოფიისა (იხ. ჩვენს „ქართულ მწერლობაში“), რომ გაიგოს სირას ნამდვილი მნიშვნელობა. მას ზედმიწევნით განმარტავს აგრეთვე საბა ორბელიანიც. აბულაძეს სიტყვით ვეფხის-ტყაოსნის 310-სა და 864 ტაეპებში ვითომ ერთნაირად (სირად—ჩიტად) იყოს ნახმარი სიტყვა სირა. შეუწდობელი შეცდომაა. შეადარე:

ტ. 310: „ქირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა მართ ვითა სირისა“. აქ სირი მართლაც ნიშნავს ჩიტს, პატარა ფრინველს და ამავე მნიშვნელობით იხმარება სახარებაშიაც (მათე; 10, 29).

ტ. 864: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეჰრთვიან სულთა სირასა“. აზრი უცხადესია. მარტი მას ასე თარგმნის: „Разложились мои элементы и присоединились къ семьѣ (sira) душъ“. მე კი ასრე განვმარტავ: დამშლიან ჩემნი კავშირნი და შემრთვიან მკვდრების რიგს, წესს. სწორეთ ამაზეა ლაპარაკი მთელს ტაეპში: გეტყვი

მართალსა: სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსა-ღა დავყოფ  
მცირესა.., დამშლიან ჩემნი კავშირნი და სხ.

გ. სიტყვა **ხეული** (ტ. 4): კარიკაშვილით „ხესავით  
ამოსული“, აბულაძით—„Рѣсп. ხეხული, სობილი, ნასობი“,  
მარრით—раздереть, букв. раздирая (Т. и раз., XII, 28).  
ა. ს.—ლით მთელი ეს მე-4 ტაეზი ყალბია, რუსთაველს არ  
ეკუთვნის. ამგვარივე აზრისაა თვით კარიკაშვილიც, რადგან,  
როგორც ვთქვით, ის ვეფხ. ტყ. მთელს წინასიტყვაობას  
რუსთაველს არ მიაკუთვნებს. რაც შეეხება ფორმას **ხეული**,  
იგი ვერც ერთს მკვლევარს, ჩვენის ფიქრით, სისწორით ვერ  
განუმარტავს. არის ქართულში ზმნა **ხევა**: ა) გახევა, გაგლე-  
ჯა, ბ) დახევა, მაგ. „უკან დაიხია“ და გ) გახევა, თხლეშა,  
მირტყმა, დრუზვა. ამ უკანასკნელის მნიშვნელობით უხმარია  
რუსთაველს ამ ზმნის ვნების მიმღეობა ხეული—მირტყმული,  
დრუზული. იგი ამნაირადვე დღესაც იხმარება ინგილ. და სხ.  
ცოცხალს მეტყველებაში. შეად.

**მარრით**: ვინცა ისმინოს, დაესვას გულსა ლახვარი ხეუ-  
ლი. Копье, вонзившись, раздереть сердце того, кто  
услышитъ тѣ пѣсни] букв. Кто услышитъ, въ сердце  
того вонзится копье, раздирая (გვ. 28).

ვიმეორებთ, აქ „раздереть“, „раздирая“ უადგილოა,  
რადგან ხეული ნიშნავს მირტყმულს, თხლეშილს და ლექსიც  
буквально-დ ასრე უნდა ითარგმნოს: „И кто услы-  
шитъ, въ сердце того вонзится копье пушен-  
ное“ („უდარენное“ არ იხმარება).

დ. მარრით ხევა და ხევა ნიშნავს раздереть (იქვე,  
გვ. 28) და ამიტომ თარგმნის:

ტ. 506: „გულსა მე ლახვარ ხეხული=съ сердцемъ  
разодраннымъ копьемъ; ტ. 516: „რა ლახვარი გულსა  
მეხოს „если копье раздереть мое сердце“. აქ ყველგან,  
ჩვენის ფიქრით, „раздереть“, „разодраннымъ“ კი არ  
არის, არამედ коснется (მეხოს), прикоснется და სხ.



ტ. 516, 4. „მაშა მაშინ როგორ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს!“ აქ მეხოს არის იგივე შემეხოს. როგორღა ვიცოცხლებ, თუ გულს ლახვარი შემეხო. ვერ წარმოგვიდგენია, აქ სად არის გლეჯა, ხევა, *раздирать*, *раздереть*! დღესაც ჩვენ ვაშობთ: ისეთ-ისეთები გადმომკრა (საუბარში, ლაპარაკში), სწორეთ გულს ლახვარივით დამესო, მომხვდო.

ე. სალა (ტ. 1316: „მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან“). კარიჭაშვილი განმარტავს, რომ კაენი და სალა ძველ აღთქმაში მოხსენებული პირებიაო; კაენმა, მართლაც, ბევრი მწუხარება (პატიჟი) გამოიარაო, ხოლო სალას რომ რაიმე პატიჟი შეხვედროდეს, ეს კი არსაითგან ვიციოთ და მისი სახელი აქ, ჩვენის აზრით, მხოლოდ რითმის მოსაწყობად არის მოტანილიო (გვ. 290).

ბ-ს აბულაძეს ეს კაენი მიაჩნია აბელის ძმად, ხოლო სალა კი კლდედ („სალა, რომელსაც შეცდომით სთვლიან საკუთარ სახელად, ვილაც სალად, მაშინ, როდესაც ცხადია, აქ სალა კლდეს ნიშნავს“)-ო (იქვე, გვ. 182).

მარტი უახლოვდება ქეშმარიტებას, როდესაც ეჭვობს, რომ, ვითომ, კაენი და სალა ყოფილიყვნენ ძველის აღთქმის გმირები. მაგრამ თვითონაც უკიდურესობაში ვარდება, როდესაც სალას, თითქმის, მიიჩნევს სპარსულ რომანის „სალამან და აბსალის“ გმირად სალმანად. ეს უკანასკნელი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსთაველი დასწერდა სალმან მან-ს და არა სალამან-ს. საკმაოა წავიკითხოთ „როსტომიანი“ (შაჰნამე), რომ გავიგოთ, ვინ არის სალა. ეს სალა იყო მამა გმირის როსტომისა და, მაშასადამე, არ ყოფილა არც სალმანი, არც კლდე და არც სრულიად უცნობი ჩვენთვის და „რითმისთვის მოტანილი“ სახელი!

ჩახრუხაძის „თამარიანში“ ცხადად არის ნათქვამი, რომ „სალას სალმობად უჩნსვე და ლმობად სხვათათვის კელქმნა ლხინ უნახვედ“. ასეთი იყო როსტომის მამა სალა, იგივე ზალი (იხ. ქვემო).

რაც შეეხება იმავე ლექსში მოხსენებულს კაენს, იგიც უნდა იყოს უიმედოდ შეყვარებული ვინმე და არა ადამის შვილი კაენი, ძმის მკვლელობით გაბოროტებული.

ავთანდილმა ტარიელს რომ ნესტანისაგან მოუტანა წიგნი და კიდე რიღისა, მას სიხარულისაგან თითქმის გული წაუვიდა: „სულნი გაექცნეს, მოსდრიკნა თავი... მისნი ვერ გასძლნეს პატიენი ვერ კაენ და ვერცა სალამან“. აქ შეყვარებულზეა ლაპარაკი და არა მკვლელზე! შეიძლება აქ იგულისხმებოდეს თამარისთვის მოგვრილი რუსი გიორგიცმან, მართლაც, ტარიელის თქმისა არ იყოს, ვერ შეიფერა თამარის სიყვარული, ვერ გაიჭრა მინდორს მისთვის, პირიქით, თავის უწმაწურ ყოფა-ქცევით გული გაუსია მეფე ქალს. ტყუილად კი არ ამბობს ქართლის ცხოვრება: „სვე უბედური რუსი, ამის სამოთხისაგან ექსორია ქმნილი, კაენისამებრ მკვლელი არა ძმისა, არამედ თავისა თვისისა, ვერცალა ნაიდსა\*) ღირს იქმნა ყოფად“. კოსტანტინეპოლიდამ წამოვიდა სპარსეთს და სპარსთა ჯარით შეესია ქიზიყს, მაგრამ დაიღუპა. იგივე „თამარიანში“, რომელიც აგრეთვე შოთას დაწერილად მიგვაჩნია, ასეა გამოთქმული:

რამინს უშენოდ (იგულისხმება თამარი) სტკივის  
ოსანოს რეტი ესხმება

სალა სალამობაშია

შატბიერი დაშვრა ალათის ძებნაში და შემდეგ

დასტირ კაენის ეს, ვით კაენის ძმის მკვლელობისა დანა-  
ბრალევეად

ამან (რუსმა) თავი რად მართა, ზავი რად შექმნა ლეილის  
(იგულისხმება თამარი) ნამიჯნურევეად?

ნებითრად რა. შენ (თამარს) გემუდარა შენ ანუ სამონოდ  
მოგმართა ძლევეად?

\*) გამოვიდა კაენ პირისაგან ღვთისა და დაემკვიდრა ქვეყანასა ნაიდს წინაშე ეღემისა (დაბად., დ, ივ).

— წყალთხ არსთასა, ძალთა სპარსთასა უძლოდ გიტყვიან  
(თამარო), არ შეუძლევად—  
ხაფად დაგესხენ **ქმრად რამე** გესხენ, აწ ძვალთა მათთა  
დაჰკდეს რა რყევად?

დასტირი ანუ დასტერი იყო ქალაქი ევფრატის სათაურს  
(ქ. ცხ., 121), საცა კოსტანტინეპოლიდამ წამოსული რუსი  
მომხრეებს ეძებდა და მიიმხრო კიდევ პატრონი ციხე კენისა  
და ორბეთისა (ქ. ცხ.. 293, 295)

ვიმეორებ, კენი უნდა იყოს ვინმე უიმედოდ შეყვარე-  
ბულთაგანი და არა ბიბლიური ძმის მკვლეელი კენი.

ვ. **აზავერი** (ტ. 449) აბულაძით იგივე აზავირია. ავტო-  
რი ამ იგივეობაში იმოწმებს პროფ. მარრის წიგნს (Т. и раз.,  
IV, გვ. 105). მაგრამ ჩვენ ვბედავთ და ვერ ვეთანხმებით  
მარრსაც. ჩვენთვის ნათელზედ უნათლესია „თამარიანის“ ლექ-  
სი „ამან (გიორგი რუსმა) თავი რად მართა, ზავი რად შექმნა  
ლეილის (იგულისხმება თამარი) ნამიჯნურევად?“ მარრის  
გამოცემაში კი ამ ცხადს და ნათელს ლექსს ასეთი სახე მიუღია:

ამან თავი რად „[кается,] въ томъ, что онъ,

მართ აზავირად точно безсловесное животное

შექმნა ლეილის (букв. вьючный волъ) сдѣлался

ნამიჯნურევად „меджнун“омъ (безумнымъ любов-  
никомъ) Лейля“ (Т. и р., XII, გვ. XLIII).

ზ. **ალაფობა** (ტ. 55) კარიჭაშვილით „ტაცვა, ცარცვა“  
აბულაძით „ალაფი ნატაცები, ნაძარცვი, ნატყვენავი, დავლა,  
ნაშოვარი, ხარკი“. საინგილოში ალაფად იწოდება ყველა ის,  
რითაც იკვებება საქონელი, ე. ი. თივა, ბზე, ბურდო, ქერი;  
**ალაფობა** კი ნიშნავს ალაფის ჯამას. ქალაქში ალაფად იწო-  
დება ფქვილისა, ხორბლეულისა და, საზოგადოდ, მარცვლეუ-  
ლობისა და ალაფის ვაჭარი. თინათინი რომ გაამეფეს, მან  
ბრძანა: „წადით, გახსენით რაცა სად საქურქლენია“. გახსნეს  
ეს საქურქლენი, ე. ი. ქურქლის (ხაზინის) შესანახავები. და  
ლაშქართაგანნი თუ სხვანი ყველანი „ალაფობდეს საქურქლე-  
სა მისსა ვითა ნათურქალსა“ აქ „ალაფობდეს“ ცარცვა,

გლეჯა კი არ არის, არამედ აღება, მითვისება, ხვეჭა. თინათინის საქურჭლეში ნივთებს ისე ხვეჭდნენო, თითქო ყველა ეს მათის დედოფლის კუთვნილება კი არ ყოფილიყოს, არამედ დამარცხებულის და გაქცეულის მტრისა, ნა-თურქალი.

ც. ბ. აბულაძე სიტყვას იაგუნდი უტოლებს არაბულს იაყუთ. ძირები ერთია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არაბების გამოჩენამდე ქართველებს უკვე შეთვისებული ჰქონდათ თავისი იაკინთე, რომელიც თანდათან იაგუნდათ იქცა. სად იყვნენ ჯერ არაბები, როდესაც ეპიფანე კვიპრელმა (დაიბადა 310 წლის ახლოს) შეადგინა შვენიერი აღწერა ყველა ძვირფას ქვებისა და ეს აღწერა კი ადრევე ითარგმნა ქართულად სახელწოდებით „თუალთაჲ“ და მეთე საუკუნეში დიდმა მოღვაწე ბერამ შეიტანა თავის შატბერდის ქრისტომატიაში. მასში ბერძნული *ἀνθραξ* თარგმნილია იაკინთედ, ხოლო ეს კი პირწმინდად არის იგივე ბერძნული *ἀζαλεως* და ლათინური *hyacinthus*. მარგალიტი და სხ. თვლები რომაელებმა გაიციეს პომპეოსის ლაშქრობის დროს საქართველოში. მაშასადამე, იაკინთე თვით არაბებს იაყუთად უქცევიათ და არა ქართველებს იაყუთი იაკინთეთ! შეად. გურ. კიანთი—ელვარე, ბრწყინვალე.

თ. ბ. აბულაძით „სკამი (რუს. *скамья*) იგივე მნიშვნელობა, ხ. 103, ტ. 1, 677, ტ. 1, 1040, ტ. 2. არ ვიციოთ, ამისთანა დატოლებით რა უნდა ეთქვა ბ. აბულაძეს! ის ხომ არა, რომ სკამი რუსეთიდან შემოვიდაო! თუ ეს, დიდი შეცდომაა. სკამი რუსთაველის წინადაც იხმარება ჩვენში. იგი სხვა არა არის-რა, რაც ლათინური *scamellum*—პატარა სკამი, *scamnum*—სკამი, *scamnatus*—სკამისებრი.

ი. მე 318 და მე 329 ტაეპებში ხმარებული სარაჯი, სარაჯები ჩუბინაშვილს მიაჩნია სპარსულ სიტყვად შადრევნის მნიშვნელობით. ბ-ნი აბულაძეც შადრევნად თარგმნის. მე კი ეს სიტყვა მიმაჩნია იმავე სვანურ და ძველ ქართულ სიტყვად **სარაგ**—წყარო, რუ, არხი. შეად.

მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა:

ქვად ფაზარი სხდა, დათლილი იაგუნდისა, ლალისა,

პირსა—ბაღჩა და საბანლოდ—სარაჯი ვარდის წყალისა  
(318)

ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღხინოჲსა:  
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა,  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.

აბანოში შადრევნები კი არ არის, არამედ წყლის სარა-  
ჯები, სადინარეები, სოლინარები, რომლებიდან წყალი,—ამ  
შემთხვევაში ვარდის-წყალი,—ბანაობის დროს გამოიშვების,  
თუ წყაროსებ ამოჩუხჩუხებს აბანოს აუზებში.

ია. **ნასი** (ტ. 1183) მიაჩნიათ არ-კეთილად, უშნოდ,  
გონჯად, მაგრამ ესეთი განმარტება ვერ გამოხატავს მის ნამ-  
დვილს პირვანდელს მნიშვნელობას: ინგ—ში ნასი იგივეა,  
რაც საზოგადო ქართულში ნავსი. და ამიტომ 178 ტაეპშიაც  
„დანასა“ გაფუჭება, წახდენას კი არ ნიშნავს; არამედ დანავ-  
სვას. შეად. „ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდრ დათრთვილა,  
დანასა“ (დანავსა).

იბ. **მლაღავი** (ტ. 1035 და 1209) აბულაძით „წარმტა-  
ცი, წამგლეჯი, მოძალე, მპარავი, გამქრობი, მომსპობი“  
(გვ. 138). ნამდვილად კი „მლაღავი“ არც ერთი ამათგანი  
არ არის, იგი მთელს კახეთ-საინგილოში ნიშნავს მხოლოდ და  
მხოლოდ **გამრეკავს** და ამავე მნიშვნელობით იგი ხმარებუ-  
ლია ვეფხის-ტყაოსნის ზემო აღნიშნულ ტაეპებშიაც. შეად.

რაცა ვის გინდეთ, წაიდეთ, არვისი ვიყო მლაღავი (გამ-  
რეკავი)

იგივე 1209 ტაეპშიაც:

ვითა ასპიტი მქვრეტელთა მისით თვალითა **მლაღავი**.

მლაღავი არის მიმღეობა. ზმნისა ლაღვა, რომელიც  
საინგ.—ქიზიყ.—კახეთში დღესაც იხმარება და ნიშნავს გარეკ-  
ვას: ულაყები გალაღე, ხარები გამოლაღე, ცუდად მიჰლავ  
(მიერეკები) და სხ.

იგ. **კალამი** აბულაძით „(არაბ. ყალამ)—იგივე მნიშვნე-  
ლობა“. რაო მერე? რუსთაველამდის კალამი არ ჰქონდათ ქარ-  
თველებს თუ! ან იქნებ არაბებამდე ქართველებმა. ხელში

კალმის დაჭერა არ იცოდნენ! ბერძნულში არის „კალამოს“ — ლერწამი, ყავარი, ლერწმის კალამი, არის *καλάμη* — ჩალა, ბწკალი, ლერწი, ღერო, არის *καλάμιος* — ლერწმისა, ლერწმისაგან გამოჰქრილი. აი ეს *καλάμη* იქცა კალამად, თუ არ ესე, ქართველებიც არაბებივით იტყოდნენ „ყალამი“!

იღ: იეფი (ტ. 134) აბულაძით „იეფი—იაფი,—უხვი, მრავალი, ადვილი საშოვნელი, უფასური, შეად. თათრ. — ოსმანური იაბა—იგივე მნიშვნელობა“. როგორი განმარტებაა? მაშ „უხვი კაცის“ მაგიერ ბარემ ვთქვათ „იაფი კაცი“ ან „მრავალი კაცი“ ან „უფასური კაცი“! ვერც გაგვიგია, ბ. აბულაძე რათ გვიწვევს იეფს შევადაროთ თათრულ-ოსმალური იაბა? მათგან ისწავლეს ქართველებმაო თუ სურს გვითხრას! მაგრამ სად იყვნენ ან თათარნი და ან თურქნი, რომ ქართველებმა ეს სიტყვა იცოდნენ (იხ. 974 წელს გადაწ. ქართულ დავითნში № 38 მე 121 ფს., მუხ. 7: „იყავნ მშვდობა ძალითა შენით და იეფობა გოდოლ-ტაძრებსა შენსა“).

იე. ქართ. სიტყვის ჰასაკი-ს ძირად აბულაძეს მიაჩნია სომხ. ჰასაკ. ესეთი განმარტება თავს ვერ მოდის, რადგან იმავე მნიშვნელობით თურქულში იხმარება ნამდვილი ძირეული *Яш* — ჰასაკი, წლოვანება.

ბ. აბულაძე სიტყვების ახსნაში ფრიად ჩქარობს. საისტ. და საეთნ. საზ. კრებაზე ამტკიცებდა—სიტყვა **სადაგი** ქართული არ არისო და რუსთაველს სპარსული ზოდე სადაგად გაუხდიაო. ჩვენ ვუჩვენეთ მას რუსთაველის წინადროინდელი კორიდეთის სახარება, რომელშიაც იხმარება **სადავი**. შესწავლას წინ არ უნდა უსწრებდეს თეორია!

ივ. ზოგი ერთი ამტკიცებს, ხატი და ვარდი არაბულიაო. ეს რომ მივიღოთ, მაშინ ისიც უნდა ვიწამოთ, რომ არაბების გამოჩენამდე ქართველები უხატოები იყვნენ და არც წმინდა ნინო დამალულა ვარდის ბუჩქებში და არც ვარდობისთვე წერებულა ჩვენს წიგნებში, მაგ., თუნდ შუშანიკის და სხ. ცხოვრებაში. კოლხიდა, რომელიც გადაპენტილიყო ათასწიარ ყვავილით ჯერ ისევ აიეტის ქამს, როგორ დაუცდიდა არაბე-

ბის მოსვლას და მათგან ვარდის სახელის დასწავლას? მით უმეტეს, რომ კავკასიის ყველა ენებზე ამ პატროსან ყვავილს ვარდი ჰქვიან, და იმერეთის ვარდციხე ჯერ ისევ მეხუთე საუკუნემდე ბერძნების მიერ ითარგმნებოდა როდოპოლისად, ე. ი. ვარდქალაქად.

იხ. ჰანდა—ანდო. აქამდის არც ერთ მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, რომ ჩვენს ძველს მწერლობაში ჰინდი, ინდო მუდამ ინდოელს არ აღნიშნავს, არამედ უფრო ხშირად ეთიოპელს, შავოსანს. შეად.

ფს. 71, 9

Ἰσῆπιον ἀπὸ τοῦ προπεσοῦνται Αἰθίοπες

მის წინაშე პირველად ინდონი შეუვრდენ

ფს. 73, 14

Βρῆμα ἄγαισ τοῖσ Αἰθίοφι

საკმელად ერსა მას ჰინდოეთისასა.

რუსულშიაც ისეა, როგორც ბერძნულში: жители пустынь, пустыни эіопской და სხ.

ამიტომაც, ვიმეორებ, ინდო ეთიოპელადაც უნდა ვიგულისხმოთ ხოლმე.

ლექსი „სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სართა“ (ტ. 869, 1) მარს უთარგმნია ასრე: „ГДѢ индійцы (рѣсницы) обводятъ хрусталь (чело) и розы (ланиты) гишеровымъ частоколомъ“ (Т. и раз., XII, გვ. 30).

აქ ინდীয়ცის მაგიერ უნდა იყოს эіопы, როგორც შავ წარბ-წამწამთა მომასწავებელნი თავის ფერით.

აგრეთვე აქაც (ტ. 1322, 2):—

„ტარიელ შეკრთა: შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა Таріель въспрепенулся: полкъ индійскаго происхожденія (сонмъ рѣсницъ) двинулся“ (იქვე).— „რაზმი ინდოთა“ полкъ инд. происхожденія კი არ არის, არამედ „отрядъ эіоповъ“.

უმართლო თარგმნილებად გვეჩვენება შემდეგი აზგილებიც „თამარიანისა“:

მარრით:

ენახე რა სახე  
შამბნარისა ხე  
ჰინდლოთა  
ცვად ჰყონ  
ნამუხთალევად.

Какое я узрѣлъ видѣнiе?  
(Стройное) дерево съ тростни-  
коваго поля: индiйцы (черныя  
рѣсницы) оберегаютъ его, ко-  
варные (Т. и раз. XII, 33. 29;  
Оды, 50).

აქ ინდiйцы-ს მაგიერ უნდა იყოს ეთიოპი: ეთიოპელი-  
ვით შვე წარბ-წამწამზეა ლაპარაკი.

მარრით:

ენახე ინდონი  
ვითა რინდონი  
რომე ჩნდეს ზანგნი  
ალაღებულად.

Я увидѣлъ какъ бы лукавыхъ  
индiйцевъ (черныя рѣсницы): ка-  
залось, это гордо выступающiе  
арапы (кн. XII, 33. 29, Оды,  
630).

არაფერი გვესმის! იგივე ჩვენის წაკითხვით:

ენახე ინდონი...  
ვითარ ინდონი?  
რომე ჩნდეს ზანგნი  
ალაღებულად!

Я видѣлъ эііоповъ... Какихъ  
эііоповъ?! (Такихъ), что каза-  
лись привольно растущими не-  
грами.

ჩუბინაშვილს რომ ჰკითხოთ, ალაღება სხვა არა არის-  
რა თუ არ ძებალთა ნაგლამთ, ნადმენნამთ, ხოლო ალა-  
ღებული ნაგლამი, ნადმენნი! ეს სულ არ გამოხატავს მშვე-  
ნიერ ლექსის—ლაღი, ლაღლაღი, ლაღოზა (ინგ. ლაღად  
აყრილი ხე, ტანი), ალაღება, ალაღებული, გალაღება—მნი-  
შვნელობას. „ყანა ალაღდა“, „ყანები გავვილაღდა“, „ლაღი  
ბიჭი“, „წყალში ბევრი ვილაღლაღე“, „წმინდა გიორგის ლა-  
ღი“ (ვითომ მისთვის შეწირული ხელუხლებელი კურატი). გა-  
ნა აქ სადმე ჩანს „ნავლობა“, ან თუ გინდ „ГОРДО-ВЫСТУ-  
ПАЮЩИЙ“-ობა!

„წა, შეები ხატაველთა, ილაშქრე და ინაპირე“  
„Ступай, совершай походы по окраинамъ, сразись съ кавидами“  
(XII, 33. IX).





განა „по окраинам“-ზე ლაშქრობა ევალემა გმირს? ჩვენით იგივე: Ступай, сразись съ хатавелями, ратоборствуй и обходи границы.

„მორქმულიმცა ჩემ კერძ ირე“ „Иди ко мнѣ жизнерадостный“ (XII, IX).

ჩვენით იგივე: „и увѣнчанный славою направляйся въ мою сторону“. მორქმული მიძლეობაა ზმნისა მორქმა, რომლის ძირია რქ და არა რქმ, როგორც იუწყება მარრი (იქვე): რქობა, დაარქო და სხ. თავდაპირვანდელი ძირი ღნდა იყოს მარტო ზ, ვინაითგან გვაქვს: სამსჭვალა, რქალი-ქალი, ბრქალი-ბქალი.

მორქმული რომ მართლაც ცხოვრებით-ტკბობას (жизнерадостный) ნიშნავდეს, მაშინ ყოველ მორქმულის კაცის სიცოცხლე ერთ განუწყვეტელ ნეტარებას წარმოადგენდა, რადგან ცხოვრების-სიტკბოება (жизнерадостность) თვის შორის ვერ იგუებს რაიმე სიმწარეს. ეს რომ ეგრე ყოფილიყო, მაშინ აბდულ-ჰამიდის იტყოდა: მე მორქმული ვარ და მაშასადამე жизнерадостный-ცაო. თვით დევთა ქვაბებში გაქრილი, ყოველ გვარ დიდებით მორქმული ტარიელიც იტყოდა: მე жизнерадостный ვარო!

მცირეოდენი თანხმობანება, ხშირად, საკმაოა, რომ ქართულს ენაში უხსოვარ დროითგან ფეხმოკიდებული სიტყვა გაამისიმიანურონ, გააგარმიანულონ. ამგვარ გაწინკულ სიტყვათაგანია, მაგ., ტერება, რომელიც ვეფხის-ტყაოსანში გვხვდება რამდენიმეჯერ. ნ. მარსს იგი გამოუცხადებია სომხურ ლექსად ტერ—უფალი, ბატონი (Т. и р.. XII, 18). ასეთი არმენიზმები (ვეფ.-ტყაოსანში) ამტკიცებენო, რომ რუსთაველი იყო იმისთანა ოლქიდამ, სადაც დიდის ხნითგან სომხურ სიტყვებს მოქალაქეობა მიეღოთო. რა მწარედ სტყუვდება მკვლევარი! ბატონო, ტერი და დანაშთენი „ასეთი“ არმენიზმები ყველანი გრუხინიზმები არიან და ქართულში იხმარებიან უხსოვარ დროითგან. სიტყვა ტერება ნიშნავს შველას, მოვლას, ცვას, ფარვას, ხმილვას და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს

სომხურ ტერ-თან, პირიქით, ჩვენი ტერება, ტერი არის თანაბარი ბერძნულის სიტყვის *τηρέω* — მოვლა, დაცვა, ხმელვა, ფრთხილობა. მისგან წარმოსდგება ფორმები: *τηρέομαι* — беречься, остерегаться, *τηρησις* — сохранение, охранение, карауль, *τηρός* — стерегущий, примычающий, стражъ (იხ. ბერძნ.-რუს. დიდი ლექსიკ. გრაცინსკისა), *τηρητικός* — наблюдающий, наблюдательный (ბერძნ.-რუს. ლექ. სინაესკისა). ამავე ძირისად გვესახება ქართული **ტალა** — დარაჯი, ყარაული, მხმილავი, ტალაობა — დარაჯობა, ქართულივე გამსტრობა, დაშტერება და, ბოლოს, „არმენიზმი“ ტერება, იგივე ტერი. რუსთაველი სწერს:

ტ. 634: აწ წადით და მე დამაგდეთ,  
**ეტერენით** თავთა თქვენთა.

„ 1275: ...ღმერთიმცა მას (ფატმანს) **ეტერების**..

„ 1374: ეგე თათბირი არ ვარგა,  
 სხვებრ ვქმნათ თავისა **ტერება**.

აქ ყველგან მოვლა-შველა-დაცვაზედ არის ლაპარაკი და არა სომხურ **სტერ**-ობაზედ! რუსთაველი სწორეთ სულელი იქნებოდა (ღმერთო, შეგცოდე!), რომ, თუ საქიროება მოითხოვდა, ღვიძლი „ეუფლენით“ („ეუფლენით თავთა თქვენთა“) შეეცვალა ბარბარისმით „ე-სტერ-ენით“. ვიმეორებ, ტერება, ტერი იმისთანა სიტყვათაგანია, რომელიც უწინარეს დროსვე ქართულსა და ბერძნულში ღვიძლ ლექსად გადაქცეულა. იგი სულხან საბა ორბელიანს უნახავს დაბადების ძველის-ძველ თარგმანშიაც (2 მეფეთა, 17, 18. იხ. ხელნაწ. ლექსიკონი № 75). ამგვარივე ძველის-ძველი საერთო სიტყვებია *ατενω* = *ατενω* = ქართ. კტინება, კლუნება, კდომა, მკვდარი = ინგ. კდარ = ლათ. cadaver (ფესვ. კ: ინგ. მო-კ = მოკვდი) და კიდევ მრ. სხვა.

სიტყვის გოგმანის სომხურიდამ ახსნაში მარრი ხომ არა სცდება! თვით „სომხური“ *gugwan, gegowankh* — „ალერსიანად“ — მიალერსება, ნაზება, საყვარლობა ხომ არ არის თათრული გიოვან, გიოვანალ, გიოვანმალ — ხარება, საყვარლობა, მხიარულობა! რაიც შეეხება ქართულს გოგმანი, ყოყმანი და კოჭმანი — მათ ყველას თავისი ახსნა აქვს ქართულში და ენათე-

სავებიან მთელს რჩეს სიტყვებისას თავის დაბოლოებით. შეად.: ქვაბისმანი, ფლავისმანი, კოდმანი, კიმოთისმანი, კოტმანი (ინგ.), ძველმანი, წვრილმანი, ღმერთმანი=(ინგ. ღმერთიმა), კოკმა-ნი, ყოყმანი, გოგმანი, ბრატმანი<sup>1)</sup> (მეფე), ფარსმანი და მრ. სხ.

ბაკმი (შუქი მზის გარშემო) იმიტომ ვერ იქნება „სომხური“ ბაკი, რომ წარმომდგარა იმ ფესვიდან, რომლიდანაც განვითარებულა ბჟა (მზე)=ლეკ. ბაყ.

690 ტაეში მოხსენებული **სამალი** („მესვრის საკრავად **სამალი**“) ჩვენ ისრად კი არა, მიგვაჩნია სატანად, რომელსაც სვანეთსა (იხ. ბ. ნიჟარაძის წერილები) და ხელნაწერებშიაც სამალი ჰქვიათ. 1190 წელს ბოძებულ სიგელში, რომელსაც ხელს აწერს (თამარ) მეფე, კათალიკოზი თეოდორე, შოთა, ავაგ ორბელი და იოანე ურბელი; იგი მოხსენებულია სამაელად. ვინც ამ სიგელს მოშლის, სამაელის კერძი იყოს და არა ჭეშმარიტ ღმერთისაო (თ. ჟორდ. ისტორ. საბ. შიომღვ. მონასტ., გვ. 22).

**მულღაზანზარი**—აბულაძით მულღაზარი ანუ მურღაზარი ანუ მულღაზარმარი — ფრინვლით მდიდარი ადგილი, ბაღი, წალკოტი, ბაღის ქალაქი (იქვე, გვ. 28 და 184); მარრით მურღაზარ-შაპრ—**городъ лужайки**<sup>2)</sup> (XII, გვ. XVI). ესრეთი სწორება მულღაზანზარი-სა საქმეში ჩაუხედაობის მომას-

<sup>1)</sup> ძირია ბრატ. შატბედლის კრებ. გვ. 217 ბ: „შებრატნილ არიან“.

<sup>2)</sup> მარრი თავის „ლუჟაჟკა“-ს პოებს აგრეთვე ლექსშიაც: „ლაწვი მწყაზარი—ამულღაზარი. Блестящія (ея) ланиты—лужайки!“ (XII, გვ. 17). აქ „ლუჟაჟკაზე“ კი არ არის ლაპარაკი, არამედ საამო (ამული) ლოყაზე (ღაზი—ლაწვი). მწყაზარიც блестящій არ გახლავთ, არამედ მოხდენილი, შნოიანი, სპეტაკი, უკეთესი, ფრიად ლამაზი. შედარე კიდევ მარრის თარგმანი: „ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ლაწვი-მწყაზარი, შუქ-მფინარი. Сіяеть лучами (Тамара) съ блестящими ланитами: она—чаща розъ (ланитами), дубрава тростниковъ (становъ)“ (XII, გვ. 18). ეს სულ არ უხდება ტექსტის აზრს, რომელსაც ჩვენ ასრე ვთარგმნი: Она чаша розо-тростниковая, тростникъ стройный, съ ланитами лучезарными.

წავებელია. რუსთაველი ამ სახელით უწოდებს ნურადინ-ფრიდონის ქალაქს (ტ. 583, 952, 956, 957, 1436). იგი იყო დიდი და მოსამზღვრეობდა თურქთა ქვეყანას. ესვე ქალაქი შაჰნამეში მოხსენებულია როსტომ გმირის სამშობლოს ზაულისტანის დედა-ქალაქად. მისი მამა იყო სალა (=ზაალი). მას შეეყვარა ავღანისტანის მეფის მერაბის ქალი როლამ. წავიდა, შეირთო და დაბრუნდა მულლაზანზარს (დაწვრილებით მერე). ეს მულლაზანზარი სხვა არა არის-რა, თუ არ მულ-ლაზან-შარი, ე. ი. ლაზნელთა (ანუ ლაზნევიდების) ქალაქი (შაჰარი) **ლაზნი**. ამ სახელის ქალაქი დღესაც არსებობს ქობულის ახლოს ავღანისტანში და თვით უწინდელი ლაზან-ქალაქი ითვლებოდა ლაზნელების იმპერიის დედა-ქალაქად. მათს კარზედ აყვავდა მეცნიერება და მგოსნობა მე-XI—XII ს. დაბა ლაზნა ქართლშიაც იყო უწინ. ლაზნელები ამოწყვეტეს ადრით-განვე.

**პერპერა** (ტ. 1413) კარიკაშვილით და აბულაძით სპარსული ოქროს ფულია (ისევ სპარსული!!). მე-XIII საუკ. არაბთა მწერალი ყაზვინი ტფილისის აღწერაში ამბობს: „ამ ქალაქში არის ოქროს ფული დინარი, რომელსაც ჰქვიან პერპერა. ეს კარგი ფულია, იწონს მისხალს. ოქრო უაღრესის ღირსებისაა. უცთომლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ფული იჭრება აფხაზთა ქვეყნის მეფეთაგან“. თვით პერპერა ბერძნული სიტყვაა (Langlois Essai, Ch II, p. 48).

მარრს ქართლის ცხოვრებიდამ გადმოუწერია (იქვე, XII, გვ. XIII) ნაწყვეტი, რომელშიაც **მოყმესთან** ერთად იხსენებიან უწინდელ გოლიათთა სახელები. მაგრამ, ჯ საკვირველებავ! ეს სახელები ქართლის ცხოვრებისას აღარ ემსგავსებიან. ბალათარი მარრის ამოწერილ ნაწყვეტში ბაგათირად (შენიშვნაში კი ბალათირ-ად) გადაქცეულა, ხოლო რუსულ თარგმანში **Богадуръ**-ად, თარკანი კი გამოცხადებულია ჩინეთის გმირად „თარხან (არაბ. ასოებით), **имя одного китайсваго героя**“. ეს „კიტაის გმირი“ ჩვენს მატიაწეში ოსეთის გმირად სწერია, ხოლო ბალათარი (და არა ბალათირი, ბაგათირი ანუ

Богадуръ-ი) ხომ პირწმინდათ ოსეთის ბუმბერაზი იყო და თვით მისი სახელიც ოსურ ენაზე ნიშნავს გმირს, გოლიათს. თვით ფრაზაც „დიდებულთა ბუმბერაზთა მოყმეთა ამის სამეფოსთა“ მარრს ასრე გადაუთარგმნია: „Славнымъ бойцамъ, витязямъ царства нашего (букв. сего).“ იგივე ჩვენით: „Прославленнымъ великанамъ-молодцамъ сего царства“.

ბრძოლე ასრე თარგმნის: „des braves et glorieux héros de ce royaume“.

ვერ გაგვიგია სწორეთ, რა არის ეს „ранъ, разсѣчен-ныхъ!“ შუალ.:

მარრით:

ჩემგან კრმლითა განაკვეთი. Они удивлялись при видѣ. ნახეს მეტად გაუკვირდეს. ранъ, разсѣченныхъ моимъ мечемъ (იქვე წ. XII, გვ. XIX).

„Ранъ разсѣченныхъ“ ხომ იგივე „ранъ раненныхъ“-ია! თითქოდეს ჭრილობების გადასხებაზე იყოს ლაპარაკი ქართულს ტექსტში! ეგრე კი არა, მასში სწერია ეს: „Очень дивились, видя разсѣченное моимъ мечемъ“.

განაკვეთი „рана“ კი არ არის, არამედ საგანი, რომელიც ხმლის ერთის დაკვრით მთლათ გაიკვეთა, გადიჭრა. ამისთანა „გაკვეთით“ ნაძღვევის მოგება თუ თავის გამოჩენა ჩვენ ბევრჯელ გვინახია ჩვენს სიცოცხლეში. ვაშკაცად ითქმის ის, ვინც ერთის მოქნევით თავის ხანჯლით გადაკვეთს ცხვრისა ან ხბოს ლეშს, ერთის მოსმით თავს გააგდებინებს დათვის, ან ღორს და სხ. თვით ტარიელიც ასრევე გვიმარტავს თავისს სიგმირეს:

მტრის ცხენოსან ჯარს რომ დავერივე, ვიწყე სასტიკი ბრძოლა, მაშინ ჩემ მიერ დახოცილ მტრების ლეშების მთელი გროვა დავაყენეო, ისე ვუქნევდიო მტერს ხმალს, რომ „ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავიდი“-ო, ე. ი. კაცს შუაზე ისე ვსხებავდიო, რომ გაუჭრელი ერთი ტყავილა რჩებოდა და მხედარი ხურჯინივით (მანდიკურად) ცხენზედვე ეკიდებოდაო აქეთ-იქით.

მარრით:

ჩვენით:

სჯობან ყოვლთა  
მოყვარულთა  
პატრონ-ყმანი  
მოყვარულნი.

Лучше всяких друзей любящие (другъ-друга) суверень (патрон-и) и вас- патронъ и поддан- саль (кма) (Т. II р., XII, 83. XII).

ყმა აქ ქვეშევრდომია და არა ვასალი!

მარრით:

მოყმე სვიანი  
იესიანი  
ლაშა აძებნა  
ლხინად და შვებად.

[Давидъ Тамаръ] подарилъ на радость и утѣшеніе сына Лашу изъ рода Иссея, счастливаго витязя (მოყმე)“ (Т. II раз., V. XII, 83. XXIX).

სულ სხვას ამბობს ქართული ტექსტი.

ჩვენს მგოსანს აქ გაულექსია ანუ სიტყვა-სიტყვით გადმოუცია ცნობა ქართლის ცხოვრებისა შესახებ იმისა, თუ ამირ-მირანი როგორ იძულებული გახდა შემოხვეწნოდა თამარს საშველად, ეთხოვნა ცოლად მისი ქალი რუსუდანი, ძღვენ-საჩუქრები ეგზავნა სხ. (ქ. ცხ., გვ. 301). მგოსანი განაგრძობს:

„შიშითა მკრძალი ვაზირთა ძალი მოგზავნა (=ამირ-მირანმა) დიდთა ცხენთა ძღვენებად.

„ულრი (=რუსუდანი) ითხოვა... ბნელისა კართა ნათელთა ცეხად,

„თვით ბრძენი სწვართა, მით მოიმართა მისდა დიდებად გასულტანებად,

„მოყმე სვიანი იესიანი ლაშა აძებნა ლხინად და შვებად“.

ცხადზედ ცხადია, რომ აქ მარრის ზემორე მოყვანილი თარგმანი იოტის ოდენად არ შეესაბამება მგოსნის მოთხრობას შესახებ ამირ-მირანის მოსვლისა და ხვეწნისა: ცოლად მისცენ რუსუდანი, აძებნინონ ლაშა მის საშველად, სალხინებელად და საშვებად.

სიტყვები „შეიქმნა ომი ვითა ხედებოდა რჩეულებასა იმერთა და ამერთა მოყმეთასა“ მარრის თარგმანში შეკვეცილია. შეად. „Завязался бой, какъ подобало превосходнымъ качествамъ имеровъ и амеровъ“ (წ. XII, გვ. XXXI). ტექსტში „რჩეულება“ ასრე განზოგებული კი არ არის, არამედ მიკუთვნილია მხოლოდ მოყმეთათვის. ტექსტის აზრი ასეთია: „завязалось сражение (такое), какое приличествовало отличію имерскихъ и амерскихъ парней-молодцовъ“.

რუსთაველი სწერს (ტ. 306): „ერთი სამეფო საკარგუმო უბოძა ამირბარობა“. ეს საკარგუმო კარიქაშვილს და ზოგიერთ სხვას მიაჩნია სამფლობელოდ! შეცდომაა. **საკარგუმო** არის საჩუქარი, ძღვენი, რომელიც უნდა მიერთვას კარგს ყმას, ვაშკაცს. ამ აზრით ეს სიტყვა იხმარება დღესაც ფშავ-ხევსურეთ-კახეთში. ვინც ნაღსა თუ მამითადში ყველაზე ადრე მივა სამუშაოდ, იმას საკარგუმოდ ეძლევა საკლავის უკეთესი ნაწილი, ხანდისხან სხ. საჩუქრებიც. რუსთაველიც ამბობს: ერთი მეფის საკადრისი და კაი ვაშკაცის შესაფერი საჩუქარი (საკარგუმო) — **ამირბარობა** უბოძაო. მარრი თარგმნის: „пожаловалъ (отъ себя) одно царство, (даръ), достойный прекраснаго витязя“ (XII, გვ. XI, შენ. 4). აქ (ტ. 306) Царство-ს ჩუქებაზე არ არის საუბარი: სარიდანს უკვე ჰქონდა თვისი სამეფო (ტ. 302). შეად. ჩვენი თარგმანი: „пожаловалъ одинъ царскій, приличествующій отличному парню, даръ — амирбарство.“

შეადარეთ კიდევ:

მარრით:

მიბრძანეს მათდა საქებრად    Она повелѣла мнѣ сложить въ  
თქმა ლექსებისა ტკბილისა    честь ея сладкозвуч. стихи  
(გვ. 7).

არც მიბრძანეს-ია повелѣла და არც მათდა-ა ея!

მარრით (XII გვ. 29):

სამყაროდ ისრის  
უწყალოდ ისრის

„Безжалостно она (Тамара)  
пускаетъ стрѣлы по міру: въ

ქმნაღთა მცველია  
წარბ-წამწამისად.

бровяхъ и рѣсницахъ у ней  
берегутся мастера стрѣлъ”.

თარგმანი არც იოტის ოდენაა ტექსტის მსგავსი! მასში ასეთი არშიყულობა როგორ გამოერეოდა, როდესაც მგოსანი თამარს ეპყრობა საღმთო მოწიწებით და წინა და უკანა ტაეპებში ლაპარაკობს მის მზეებრ სულის სავანობაზე, ღვთივ-განბრწყინვებაზე, ზენათ-ცხებულობაზე, სიგმირეზე, მესიას შემწეობაზე, მტრის დრამისად ქცევაზე! რუსთველის ლექსის აზრი ასეთია: ქვეყნის დასამაგრებლად (სამყაროდ) ისვრის ისარს (ისრის), უწყალოდ მტერი ისვრება (ისრის), იგი ყველა ამის მოქმედთა სწრაფი მცველია. იგივე რუსულად: для крѣпости державы обстрѣливается, безжалостно гибнетъ врагъ; дѣющимъ сіе она помощница мгновенная. არ ვიცი, სად მონახა მთარგმნელმა სიტყვები: „въ бровяхъ и рѣсницахъ у ней берегутся мастера стрѣлъ“?!!

„მკერდსა იცემს“ მარრით (იქვე, 31) „(Асма) бьетъ себя въ груди“ . მკერდი განა ძუძუებია (грудь)! ასმათი განა ასმაა!

ჩვენის ფიქრით 1158 ტაეპში მეოთხე სტრიქონი უმართლოდ იბეჭდება. ასრე:

მარრით:

ჰმართებს ამისა მიჯნურსა,      Правъ влюбленный въ нее;  
ხელი თუ რბოდეს, ახ, ვე-      если онъ бѣгаетъ, увы, по  
ლაღ.      пустынямъ (Т. и р., XII, გვ. 33).

ჩვენის მართლწერით: ჰმართებს ამისა მიჯნურსა კელით — ურბოდეს — ახველად, ე. ი. მიჯნურს თუ ამისთანა ქალი (როგორიც ნესტან-დარეჯანია) გაურბის, ჰმართებს ხელი დაავლოს მას, დაიჭიროს.

დავით კარიჭაშვილის სწორი, ჩვენის ფიქრით, მართლწერა მე-17 ტაეპისა ნიკ. მარს სრულიად სხვანაირად ესმის.

კარიჭაშვილი:

მარრი:

მიაჯეთ ვინ! კორცთა დაწვა      მიაჯეთ, ვინ კორცთა დაწვა  
კმარის, მისცეს სულთა ლხენა!!      კმარის მისცეს, სულთა ლხენა



ესეთი კვენსა ბუნებრივად აღმოხდება კაცს გულის სიღრმიდამ, როდესაც ჩავარდება ამ ყოფაში: „აჰა გული გამიჯნურდა, მიჰხლომია ველთა რბენა!“

ლექსის (ტ. 7) „სამთა ფერთა საქებელთა ლამის, ლექსთა უნდა ლევნა“ თარგმანს ნ. მარრის მიერ ჩვენ ვერ ვეთანხმებით. შეად.

მარრით: „Боюсь, не достанетъ (мнѣ) стиховъ, предстоитъ воспѣть три образа (Т. и р., წ. XII, გვ. 8).

ნამდვილად კი მასში ეს აზრია: О трехъ родахъ похвалъ требуется исчерпать стихъ.

სულ ცოტა რომ ვთქვათ, დიდი გაბედულობაა მე-1573 ტაეპში ნახმარ სიტყვების „საკამათებლად“-ის საკუმარებლად გადასწორება ხოლო „სარებლად“-ის მარებლად და ამის გაყოფა ორად: „მა რებლად“ და თარგმნა ასე: „мѣсяцемъ, шествуя“. „რებლად“ არსად შესაწყნარებელი ფორმა არ არის, არ არის ისე, ვით კრებლად, ქორლად და სხვ. არ ვიცით სწორეთ, როგორ მოუვიდა ნ. მარრს ფიქრად საკამათებლადის საკუმარებლად შეცვლა ანუ, უკეთ ვთქვათ, საკუმარებლად, საყომარბაზოდ! ეს გაკეთებულია არაბულ სიტყვიდამ ყუმარი, კუმარი—თამაშობა, ყომარბაზობა (იქვე, XII, გვ. 43). თვით თარგმანიც ერთს გაუგებრობას წარმოადგენს: მთელს პერიოდში შედის მომდევნო „ყალბად“ მიჩნეულ ტაეპის (1574) პირველი სტრიქონიც და მარრს კი ეს პერიოდი დაუსრულებია მხოლოდ წინა ტაეპის ოთხის პწკარით. შეად.

მარრით:

მარრით:

ქართველთა ღვთისა, დავითი  
ვის მზეს ჰმსახურებს მა რებლად,  
ესე ამბავი გავლექსე  
მე მათად საკუმარებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით  
დასავლეთს ზართა მარებლად,  
ორგულთა მათთა დამწველად,  
ერთგულთა დამახმარებლად.

Повѣсть эту я переложилъ  
въ стихи для забавы богини  
грузинъ,—той, кому, солнцу,  
Давидъ служить какъ стран-  
ствующій мѣсяць,—той, кто  
наводитъ ужасъ на востокъ и  
западъ, той, кто сжигаетъ въ-  
роломныхъ, преданныхъ же  
помогаетъ.

ტექსტში ასეა:

ქართველთა ღვთისა დაღითის,  
ვის მზე მსახურებს სარებლად,  
ესე ამბავი გავლექსე.  
მე მათად საკამათებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით  
დასავლეთს ზართა მარებლად,  
ორგულთა მათთა დამწველად,  
ერთგულთა დამამაგრებლად,  
დაღითის ქნარი ვითა ვთქვენე,  
სიხალზე, სიხაფეთანი!

ამას მიჰყვება შემდეგი შვენიერი, მაგრამ მარლისა და ზოგიერთთაგან, ვიმეორებ, ყალბად მიჩნეული სტრიქონები (ტ. 1573):

ესე ამბავნი უცხონი  
უცხოთა კელმწიფეთანი  
პირველ ზნენი და საქმენი  
ქებანი მათ მეფეთანი  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ,  
ამითა ვილაყფეთანი.

ჩვენით:

Сію повѣсть стихосложиь  
я о томъ грузинскомъ Божьемъ  
Давидѣ, которому солнце со-  
путникъ. Я соперникомъ дѣя-  
нія тѣхъ, которые отъ Восто-  
ка до Запада всюду наводятъ  
страхъ, сжигаютъ вѣролом-  
ныхъ, подкрѣпляютъ предан-  
ныхъ себѣ,—какъ могу счесть  
дѣяніе Давида (царя-проро-  
ка), его проворство, громы  
его побѣд!

Эти дивные рассказы о див-  
ныхъ государяхъ, прежде все-  
го о нравахъ, дѣяніяхъ и вос-  
хваленіяхъ оныхъ царей я об-  
рѣлъ, стихосложиь и тѣмъ  
инословиль.

მარრით (წინა ტაეზზე მიწერილი სტრიქონებითურთ):

„Какъ мнѣ воспѣть на гусляхъ давида эти иностранные <sup>1)</sup>  
рассказы о проворствѣ и бояхъ чужихъ государей. Я напалъ на  
древніе достохвальные обычаи и дѣла тѣхъ царей и переложилъ  
въ стихи, такъ мы повабавились“.

ინგილოურში ლაყაპი ნიშნავს შეცვლილ სახელს; ლაყ-  
ფობა, ლაყობა, მაშასადამე, შეცვლილ-სახელობაა, იგავურ-  
თავისუფალი საუბარი. იგივე აზრია რუსთაველის ვილაყფეთანსა  
და თვით მთელს მისს პოემაში: ყველგან, წინა და უკანა სი-  
ტყვაობას გარდა, მარტო ლაყაპი სახელებია.

<sup>1)</sup> „უცხო можетъ означать также экзотическій, дивный, пре-  
красный“. შენიშ. მარლისა (იქვე XII, გვ. 54).

წინასიტყვაობის მეორე ტაეხსაც მარრი ჩამატებულად აცხადებს. მიზეზად ის მოსაზრება მოჰყავს, რომ ლექსში არის ასეთი სინტაქსური უხამსობა, ვით შეთახმება ნათეს. გასატანისა და სახელობითისა ხურვილი. ტექსტში კი, როგორც სწორეთ აღნიშნული აქვს დ. კარიჭაშვილსაც, გასატანისა სურვილის განმარტება კი არ არის, არამედ მიჯნურთა; აზრი ასეთია: მიჯნურთა გამტანლობის (გასატანისა) სურვილი მომეც და საიქიოს წასატანის ცოდვების შემსუბუქებო. ამას გარდა, მარრის თვალში ეს ტაეხი ყალბი კიდევ იმიტომაცა, რომ მასში არისო ეკლესიური შეხედულობა საიქიოზე (на будущий миръ). ამ მხრივ შოთა ერთ და იგივე აზრისაა თავის გმირების შეხედულებასთან. აქ იმოწმებს იგი (მარრი) ნესტან-დარეჯანის სიტყვებს (ტ. 1280--1282) და, სამწუხაროდ, იგიწყევბს ავთანდილის ნათქვამს, რომელიც პირწმინდად არის იგივე თქმულება შესახებ მტერთაგან დაქრილ ავთანდილისა, მის მიერ წიგნის დაწერისა, ტრედის ყელზე მობმა-გაგზავნისა, დედისთვის შეთვლისა შეუსრულოს ყოველი საქრისტიანო წესები, აჩუქოს მღვდელს საწირავი და სხ.

მარრს სურს შეცვალოს ხშირისა (ტ. 3) შერისა-დ, მშიერისა „და შერისა“-დ. და ტაეხის მესამე სტრიქონს აბოლოებს ასრე „შესხმა ხოტბისა, შერისა“ და მეოთხესაც ასე: „მართ და შერისა“. თავის ასეთ „გასწორების“ საბუთად მოჰყავს ის, რომ წინანდელი „ხშირისა“ რითმას არღვევსო. ორივე „შერი“ მარრს, რაღა თქმა უნდა, მოუნდახავს გარმიანეთში: პირველი შერა არაბულში და მეორე სპარსულში (აბა, უამათოთ როგორ იქნება!) და, ჩვენდა გასაოცრად, გვაუწყებს: არაბული შაირი ქართულ მწიგნობრულ გადაცემაში იხმარებო შერა-დ, ხოლო ქართულ ხალხურში შაირი-დ. სად არის ესეთი ქართული მწიგნობრული გადაცემა? ჩვენ არსად ასეთი ნაშთი არ შეგვხვედრია, იქნება ხმარობდეს მას სადმე ნანუჩა ან ლარაქე და ან მათებრი მგოსანი! ყოველ შემთხვევაში, საქირია გვიჩვენოს მარრმა უკვე დაკანონებული არაბ. შაირი,

რომელიც „ВЪ КНИЖНОЙ ГРУЗИНСКОЙ ПЕРЕДАЧѢ“ არის შერი.

მეორე შერა არისო სპარსული შირ (شیر)—რძე. ეს შირ-ი როგორ გა-შერ-და, ავტორი აღარ იტყობინება და ამას კი ამბობს, ჩვენი გასწორება რითმასაც უხდებაო. მერე რაო? ვეფხის-ტყაოსანში განა მარტო აქ ირითმება არა-თან-ტოლად, განა პრავალგან სხვაგანაც არ არის ამისთანა მაგალითები? მაშ ყველგან შეეცვალოთ?! მაინცა და მაინც, თუ საჭიროა ხსენებული სიტყვების შეცვლა, ჩვენს ენაშიაც მო-ვნახავთ მათსავე სახეებს: ინგილოურში შერა ნიშნავს იმავე მშვიერს, ხოლო ხშირი მეტად დაუდგრომელი ფორმაც: მეტ-რულსა და ხალხურში შხირი, სვანურში ხვაჲ (ძირი უნდა იყოს ჩვენ მიერ უკვე განმარტებული მრავლობითობის ნიშა-ნი ხ, რომელიც უდრის საზოგადოს შ, ნ და რაქულ-ინგი-ლოურს შ (შ-ყავ-თ=შ-ყავა-ყ=ხა-ყა-ხ). ამიტომაც ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, რომ თვით რუსთაველს მაგიერად ხშირისა ეხმარა ხშერისა, მით უშეტეს, რომ ამისთანა თავისუ-ფლებას ის სხვა ადგილებშიაც მიჰმართავს ხოლმე.

რითმისთვის შოთას შემწუხებელი, წარმოადგინეთ, სხვა ადგილას თვითონ სრულიად აღარ ზრუნავს ამისთვისვე. შეა-დარეთ.

რუსთაველით:

აწ ენა მინდა გამოთქმად, | =8

გული და კელოვანება. =8

მარრით იგივე:

აწ ენა მინდა გამოთქმად მე, | =9

გული და კელოვანება =7.

როგორც ვხედავთ, მარრის გასწორებულში დარღვეულია თვით საანბანო კანონები შაირობისა.

თვით ხელოვანება-საც ხელოვნებად იმიტომ ვცვლიო, რომ გამოვიდესო რითმა ოვნება. ხოლო რუსთაველს ამ ტაეპ-ში არც ერთგან არ უხმარია ეს ოვნება, არამედ ნება. შეად.

რუსთ.:	მარჩის გასწორებით(!):
...კელოვანება	...კელოვნება
...გონება	...გონება
...ხსენება	...ხსოვნება
...მონება	...მონება.

სად აქვს რუსთველს **ოვნება?**

„ლექსში „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მი-  
ნა რხეული“ სრულიად საჭირო არ იყო მანა-ს შეცვლა სპარ-  
სულ ნაი-ად, რომელიც ნიშნავსო ლერწამს, სალამურს, ნესტვს.  
ეს ყველა კარგი, მაგრამ ჩვენი მგოსანი ხომ თავის რვეულებში  
ასეთ შედარებებს გვამცნევს:

რვეული 1: მელნად ტბა გიშრის

„ 2: კალმად მინა რხეული

აქ მგოსანს, ჩანს, ლაპარაკი აქვს ფერზედ: ტბაში (საწე-  
რელში) მქონდაო გიშრის ფერი მელანი, ხოლო ხელში მეჭი-  
რაო მინა რხეული, ე. ი. მჭვირვალე კალამი მინისა. რხეული  
არის იგივე სხიული, სხიოსანი და ენათესავება ძირს რკ, რომ-  
ლისაგან გვაქვს რკმა (შეად. რკიალი, კრიალი, ჰკიალი, სარ-  
კე (სვ. სარკ), სარკმელი), ელვარე, ბრწყინვალე.

მარჩის „გასწორება“ აქაც არ უხდება რუსთაველის ნა-  
სიბრძნს. შეად.

რუსთ.:

მარჩით:

დავჯე—რუსთველმან გავ-  
ლექსე—

დაესჯდე რუსთველი ვლე-  
ქსვიდე,

მისთვის გულ-ლახვარ სობი-  
ლი, —

მისთვის გულ-ლახვარ სობი-  
ლი:

აქამდის ამბად ნათქვამი,  
აწ მარგალიტი წყობილი.

აქამდის ამბად ნათქვამი  
აწ მარგალიტი წყობილი.

რა შეუწყობლობაა მეორე მხარეს!: „ვლექსვიდე... ამ-  
ბად ნათქვამი!“ ბატონო, ქართულად იტყვიან ვლექსვიდე ამ-  
ბად ნათქვამსა, ხოლო გავლექსე ამბად ნათქვამი. რუსთაველს  
„გავლექსე“ რომ გაუსწორეთ, „ამბად ნათქვამიც“ უნდა გავე-  
სწორებინათ, რომ რამე რაიმეს გვანებოდა!

მარტი კიდევ ბრძანებს, აქ ფორმა „რუსთველმან“ წარყვნილიაო, ესე რომ იყოსო, მაშინ მგოსანი უნდა ვამხილოთო ბრუნვის უმართლო ხმარებაშიო: გულ-ლახვარ სობილის მაგიერ გულ-ლახვარ სობილმან (XII, გვ. 37). ამაო წილადობილაა. შოთას ყველა რიგზედ აქვს: დაჯგე (=ინგ. დაჯე) მისთვის გულს ლახვარ-სობილი, რუსთველმან გავლექსე. აქ სად არის შეუთანხმობლობა?!

მარრის მიერ რუსთაველის ტაეების გადასხ-გადმოსხმა ცხადად გვიჩვენებს, თუ რა მსუბუქად ვეპყრობით წმინდა ძეგლს. ესრეთი სკუპ-სკუპი არღვევს არა თუ მარტო წინასიტყვაობის მთლიანობას, არამედ მის და დანარჩენ ნაწილების მტკიცე თანდათანობასა და ერთობასაც.

მგოსანი თვითონვე გვამცნევს—უნდა ვაქო დავითი და თამარი (ტ. 3—5), სამი გმირი (ტ. 6—7), გამოვაცხადო ამათი და ამათ საყვარლების მიჯნურობის ამბავი (8—14), ჩემი აღფრთოვანება თამარით (16—17), ჩემი შეხედულობა მე-ლექსეობაზე (18—25), სიყვარულ-მიჯნურობაზე (27—31), და ერთს ბოლო ტაეპშიაც (26) პოეტი მოკლედ გამოსთქვამს მთელს აზრს, თუ რისთვის შეუდგა წერას, ვისი ქება უღევს გულში. აი ეს ტაეპი სრულად.

ჩემი აწ სცანით ყოველმან: მას ვაქებ, ვინცა მიქია;

ესე მიჩნს დიდად სახელად, აზ თავი გამიქიქია.

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია,

მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია.

„ქვემორე“ კი თინათინის გამეფებაზეა ლაპარაკი, შემდეგ ტარიელის შეხვედრაზე, მის პოვნაზე ავთანდილის მიერ, ნესტანის პოვნისა და ტარიელ-ავთანდილის დაქორწინებაზე და, ბოლოს, ისევ პოემის დაწერის მიზეზზე: „ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე“.

მარრს კი ეს მე-26-ე ტაეპი გადუსვამს მეოთხის წინ და მერე რუსთაველის ტაეები ასრე ჩაუმწკრივებია: 26, 4, 5, 17, 16, 6, 15, 7, 18, 9, 12, 27, 28, 31, 13, 30, 14, 8, 10, 11, 19, 20, 21, 22, 29, 23, 24. და ბოლოშიაც,

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ნათელი საკმათებლად საკუ-  
მარებლად შეუცვლია. ჩვენ ამ არეულ-დარეულობის გამორ-  
კვევას აქ აღარ შევუდგებით, მით უმეტეს, რომ ამ არეულ-  
დარეულობისა და გაუგებრობის მაგალითები ზემოთაც ბევრი  
აღვნიშნეთ. აქ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას კიდევ  
იმას, თუ პატივცემული ჩვენი მკვლევარები რისთვის იყინე-  
ბენ ვეფხის-ტყაოსნის „ზღაპრობას“, „სპარსულობას“.

შოთა სწერს:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე ამბად ნათქვამიო“ (ტ. 7);

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები...  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“ (ტ. 16).

„ესე ამბავი (დავითის და თამარის) გავლექსე“ (ტ. 1573).

ესე ამბავნი ხელმწიფეთანი, ქებანი მეფეთანი, ვპოვე და  
ლექსად გარდავთქვენ (ტ. 1574).

ამბავი ზღაპარს კი არ ნიშნავს, არამედ ისტორიას, ის-  
ტორიულს გადმოცემას. აგრეთვე ნათარგმანები ყოველთვის  
თარგმანს კი არ ნიშნავს, არამედ განმარტებას, რკვევას. პო-  
ეტს თუ წინ სდებოდა რაიმე სპარსული და იგი ეთარგმნა,  
მეტეჩარა იქნებოდა, რომ აცხადებდა: თამარს ვაქებდეთო, მი-  
ბრძანეს, ე. ი. წინადადება მომცეს მათდა საქებრად ტკბილბ  
ლექსები დამეწერაო, შემექო მათი წარბ-წამწამი, თმა, ბაგე,  
კბილიო! არც ეს, ვიმეორებ, არც შინაარსი მთელის პოემისა  
არ გვაძლევს ნებას, ვამტკიცოთ ვეფხის-ტყაოსნის სპარსული  
ჩამომავლობა. რუსთაველს წინა სდებია ქართლის ცხოვრე-  
ბა და, საზოგადოდ, თანამედროვე ისტორიული წყარო-  
ები და სხ. წიგნები, მათ შორის სპარსულებიც, მაგ. როს-  
ტომიანი (შაჰნამე), და ამ მასალისა და თავის თვა-  
ლით ნახულისა და ნაგრძნობის მიხმარებით დაუწერია უკვ-  
დავი ქმნილება—ვეფხის-ტყაოსანი და ამ ქმნილებაში, რა-  
ღა თქმა უნდა, შეუტანია ცნობები ქართული (როსტევეან-  
თინათინ-ავთანდილ) და გარმიანული (ტარიელ ფრიდონ-ნეს-  
ტან-დარეჯან). ამიტომაც, ამ უნდილ მასალის გასამარგალი-  
ტებლად იგი ივალეების: „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული

და კელოვანება!“ ესეთი შეხედულობა ჩვენ გამოვთქვით ჯერ ისევ 1902 წელს („მოამბე“ 1903 წ.) და დღეს კი ი. აბულაძე გვწამებს (მე-XXII საუკ. ქ. მწერლობ. ხასიათი, გვ. 6, შენ.), რომ, ვითომ, ჩვენც ვურევივართ იმათ რიცხვში, რომელნიც ამტკიცებენ, რუსთაველი მარტო თამარ მეფეს ამკობს და ქართველების ცხოვრებას შეეხებაო! რა საკადრისია ასეთი ცილისწამება!

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ვეფხის-ტყაოსნის იგეთი მცოდნეც, ვით ნიკოლოზ გულაკი, რომელსაც ისე „კარგად“ ესმოდა უკვდავი ქმნილება, რომ ბეჯითად ამტკიცებდა, რუსთაველმა ერთის საუკუნით სხვებზე ადრე მოიხსენიაო წამლით სასროლი იარაღიო. თავის ასეთ უცნაურ აზრს ამოწმებდა ვეფხის-ტყაოსნის 420 ტაეპში ხმარებულ სიტყვით კვამლიო. ეს ვერაფერი საბუთია. ტარიელი წავიდა რამაზ მეფის დასაშჯელად. რამაზმა 130,000 კაცი დამალა, ცოტა წინ წამოდგა და შემოუთვალა ტარიელს, მოდი, მოვილაპარაკოთო. ტარიელმა ლაშქარი უკან დაიტოვა, 300 კაცი წაიყვანა და წავიდა. გზაზე შემოეყარა ჯაშუში და გაანდო: რამაზი საღალატოდ გიწვევს; რომ მიხვალ, დააკომლებენ (ტ. 420) ნიშნად შენის მისვლისა, კომლის დანახვაზედ მისი ლაშქარი აიშლება, მოგესევა და დაიღუპებიო. ტარიელმა თავისი ჯარი დაიბარა და თვითონ წავიდა. რამაზმა დაინახა და კვამლი ააშვებინა (ტ. 429). მისი ლაშქარი მიესია ტარიელს. საქმე წაგებული იქნებოდა, რომ ლაშქარი არ მოშველებოდა უკანიდგან. რამაზი დამარცხდა. სიტყვით, არსადაა აქ წამლით სასროლი იარაღი! კვამლი უწინ მოასწავებდა რაიმე სანიშნოს. მას მიჰმართავენ ხოლმე მტრის შემოსევის დროს, გზა-კვალის აცდენის ჟამს და სხ. დღესაც ტყე-ღრეში დაქსაქსულ მონადირეთა შესაკრებად ბულულს ააპრიალებენ ხოლმე და კომლს აყენებენ.

მარტი სწერს: „Руставский поэтъ (или интелепояторъ) обращается къ художнику съ словами: აქა, მხატვარო, დახატე“ და სხ. (Т. и. р., XII, გვ. XXIV). ბატონო, ცოდვა არ არის შოთას გვერდზე მოვუსვათ ი ნ ტ ე რ კ ო



ლოტორი და „რუსთაველი“ ვაქციონთ „რუსტავსკიჰ პოეტად“? ბარემდე შევცვალოთ: წერეთელი წერეტსკი-დ, თუხარელი—ტუხარსკი-დ, შავთელი—შავტსკი-დ, გურიელი—გურსკი-დ!

მოკლედ მოვჭრათ ჩვენი სიტყვა.

რუსთაველის მეზღაპრეობა თვით ზღაპარია და ჩმახია; ეს „დასტურია არ ნაჭორად“.

ზღაპარი „იყო და არა იყო-რა“-დამ იწყება და თავდება მაგგვარივე სიტყვებით: „ელასა და მელასა, ძილი გაამოს ყველასა“, აქ კი სულ სხვას ვხედავთ:

ა. „რომელმან შეჰქმნა **სამყარო** ძალითა მით ძლიერითა, **ზეგარდმო არსნი** სულითა ჰყვნა **ზეცით მონაბერთა**, ჩვენ; კაცთა მოგვცა **ქვეყანა**, — გვაქვს უთვალავი ფერთა“. ეს პირ-წმინდათ დაბადების სიტყვებია (თავი 1).

ბ. იგია „ხატად **ერთარსებისა** ერთისა მის უყამოსა ჟამისად“ (ტ. 816). **ერთარსება ერთა** წმინდა ბიბლიურ-ქრისტიანული ცნებაა.

გ. „შიგან მათთა საბრძანისთა თხა ღ მგელი ერთგან სძოდეს“ (ტ. 1571). აქ გალექსილია წინასწარმეტყველის ესაიას სიტყვები (თ. 11,6): „მაშინ ძოდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისუცნებდეს, და ზუარაკი და ლომი და კუროჲ ერთგან ძოდეს“.

დ. „წაგიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარსწერენ; ვით იტყვიან, ვით აქებენ“ (ტ. 772). აი ერთი ასეთი მუხლი (იოან. 15,13): „ესე არს მცნებაჲ ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას... უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დასდუს მეგობართა თვსთათვს“. (კიდევ 1 კათოლიკე, 3,15).

ე. რუსთაველი განაგრძობს: მოციქული იტყვისო, რომ შიში შეიქმს სიყვარულსაო. შეად.: „რომელსა ეშინის მისსა და იქმს სიმართლესა, სათნო მისსა არს (საქ. 30,35); „ვმსახურებთ ღა მოშიშებით“ (ებრ. 12,18).

ვ. „მისგან არს ყოვლი კელმწიფე სახითამის მიერთთა“ (ტ. 1). იგივე ნ. 1 მეფ. 16, 11—13, ეზეკ. 37, 21—28 და სხ.

